I

ზოგადი უნარების ტესტი

ინსტრუქცია

ტესტი შედგება ორი – ვერბალური და მათემატიკური – ნაწილისგან და 30 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალებათა ინსტრუქციები, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ თითოეულ დავალებაში, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

არჩეული პასუხი აუცილებლად მონიშნეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც ახლავს ტესტს. ტესტის ფურცლებზე მონიშნული პასუხები არ შემოწმდება. ზოგადი უნარების ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 30 წუთი.

დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

თუ გათვალისწინებულზე მეტ დროს დაუთმობთ ტესტზე მუშაობას, თქვენი ნაშრომი არ შემოწმდება.

თუ არ გაქვთ რომელიმე დავალების პასუხი, დროს ნუ დაკარგავთ და გადადით შემდეგ დავალებაზე.

ჩანაწერების ან ნახაზებისთვის გამოიყენეთ მხოლოდ და მხოლოდ ტესტის ფურცლებზე არსებული ცარიელი ადგილები.

გისურვებთ წარმატებას!

ვერბალური ნაწილი

ანალოგიები

ამ სახის დავალებებში მოცემულია მუქი შრიფტით გამოკვეთილი ორი სიტყვა (საწყისი წყვილი), რომელთა მნიშვნელობებს შორის არსებობს გარკვეული მიმართება. დაადგინეთ, რა სახისაა ეს მიმართება.

სავარაუდო პასუხთა ყოველ ვარიანტში ასევე მოცემულია მნიშვნელობით ურთიერთდაკავშირებული სიტყვების წყვილი. აირჩიეთ მათგან ის წყვილი, რომელშიც სიტყვათა მნიშვნელობებს შორის მიმართება საწყის წყვილში არსებული მიმართების მსგავსია (ანალოგიურია). პასუხის არჩევისას გაითვალისწინეთ წყვილებში სიტყვათა თანმიმდევრობა.

<u>1. თივა : ზვინი</u>
(ა) საფეხური : ეტაპი
(ბ) ძაფი : გორგალი
(გ) გაზონი : ხეივანი
(დ) ტალღა : ზღვა

<u>2. თენდება : ღამდება</u>
(ა) სკდება : ფეთქდება
(ბ) ჭკნება : იცვლება
(გ) იბადება : ვითარდება
(დ) ივსება : იცლება

<u>3. ნექტარი : თაფლი</u>
(ა) თიხა : კრამიტი
(ბ) ქვიშა : აგური
(გ) მინა : სარკმელი
(დ) რიკული : მოაჯირი

<u>4. სასვენი ნიშანი : წერტილი</u>
(ა) ბგერა : ხმოვანი
(ბ) ტექსტი : აბზაცი
(გ) კალიგრაფია : ხელწერა
(დ) ანბანი : მარცვალი

5. რიყე : გამორიყვა

(ა) ველი : გაველურება
(ბ) ქარი : გაქარვება
(გ) მზე : გამზეურება
(დ) სხივი : გამოსხივება

ლოგიკა

ამ სახის დავალებები განსხვავდება ერთმანეთისგან წინასწარი მონაცემებისა და გამოსატანი დასკვნების თვალსაზრისით. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ შეკითხვას, რომელიც ახლავს თითოეულ დავალებას, და მოცემული ვარიანტებიდან აირჩიეთ შესაბამისი პასუხი.

ზოგიერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემას გაგიადვილებთ მონაცემების გამოსახვა ნახაზის ან დიაგრამის ფორმით.

6. სამი მეგობარი – ნანა, ეკა და თეა – გვერდიგვერდ სხედან. ერთ-ერთ მათგანს ჩალის ქუდი ახურავს, მეორეს – თავსაფარი, მესამეს კი – კეპი. თეა შუაში ზის. მის მარცხნივ კეპიანი გოგონა ზის; ნანას თავსაფარი ახურავს.

რა ახურავს თეას?

(ა) თავსაფარი ან კეპი
(ბ) თავსაფარი
(გ) ჩალის ქუდი
(დ) კეპი

7. მოცემულია:

- არ არსებობს წარმატება დიდი ძალისხმევის გარეშე.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წინადადება გადმოსცემს ზუსტად ამ წინადადების შინაარსს?

(ა) დიდი ძალისხმევა მხოლოდ მან გასწია, ვინც წარმატებას მიაღწია.
(ბ) ვინც წარმატებას ვერ მიაღწია, არც დიდი ძალისხმევა გაუწევია.
(გ) თუ ადამიანმა დიდი ძალისხმევა გასწია, მას წარმატებისთვის მიუღწევია.
(დ) თუ ადამიანმა წარმატებას მიაღწია, მას აუცილებლად გაუწევია დიდი ძალისხმევა.

8. ერთი შენობის პირველ, მეორე და მესამე სართულებზე ცხოვრობენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: მუსიკოსი, ექიმი და ინჟინერი (არა აუცილებლად ამ თანმიმდევრობით). ერთ-ერთ მათგანს სახლში ძაღლი ჰყავს, მეორეს – კატა, მესამეს კი – თუთიყუში.

- მას, ვინც პირველ სართულზე ცხოვრობს, ჰყავს თუთიყუში.
- ის, ვისაც ძაღლი ჰყავს, მუსიკოსის ბინის ზემოთ ცხოვრობს.
- მას, ვინც ექიმის ბინის ქვემოთ ცხოვრობს, ჰყავს კატა.

*ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია **<u>შეუძლებელი</u>** ამ მოცემულობის პირობებში?*

(ა) ექიმს ჰყავს თუთიყუში.
(ბ) მუსიკოსს ჰყავს კატა.
(გ) მეორე სართულზე ცხოვრობს მუსიკოსი.
(დ) პირველ სართულზე ცხოვრობს ინჟინერი.

9. მოცემულია:

- არც ერთი მოსწავლე არ არის სრულწლოვანი.
- ყველას, ვინც არ არის სრულწლოვანი, ჰყავს მეურვე.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებებიდან?

(ა) ყველა მოსწავლეს ჰყავს მეურვე.
(ბ) ყველა, ვისაც ჰყავს მეურვე, მოსწავლეა.
(გ) მხოლოდ ზოგიერთ მოსწავლეს ჰყავს მეურვე.
(დ) არც ერთ მოსწავლეს არ ჰყავს მეურვე.

10. მოცემულია:

- ყველა იმ სოფელში, რომელიც რაიონული ცენტრის ახლოსაა, მიდის ავტობუსი.
- სტომატოლოგიური კაბინეტები მხოლოდ იმ სოფლებშია, რომლებიც რაიონული ცენტრის ახლოსაა.

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებებიდან?

(ა) ყველა სოფელში, რომელიც რაიონული ცენტრის ახლოსაა, არის სტომატოლოგიური კაბინეტი.
(ბ) ყველა სოფელში, რომელშიც არის სტომატოლოგიური კაბინეტი, მიდის ავტობუსი.
(გ) არც ერთ სოფელში, რომელშიც არ არის სტომატოლოგიური კაბინეტი, არ მიდის ავტობუსი.
(დ) არც ერთ სოფელში, რომელიც რაიონული ცენტრის ახლოს არ არის, არ მიდის ავტობუსი.

წაკითხული ტექსტის გააზრება

ყურადღებით წაიკითხეთ და გაიაზრეთ ტექსტი. თითოეული შეკითხვის სავარაუდო პასუხებიდან აირჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც მართებულია მოცემული ტექსტის მიხედვით.

შვეიცარიელმა ფსიქოლოგმა ჟან პიაჟემ ჩამოაყალიბა თეორია იმის შესახებ, თუ როგორ აზროვნებენ და წყვეტენ ამოცანებს ბავშვები. პიაჟეს მიხედვით, 2-დან 7 წლამდე ბავშვის აზროვნება ეგოცენტრიზმით, ანუ სხვა ადამიანის თვალსაზრისის გაგებისა და გაზიარების უნარის არქონით ხასიათდება. ბავშვებს ჰგონიათ, რომ სხვებიც ისევე აღიქვამენ, ფიქრობენ და გრძნობენ, როგორც თავად.

თუ მოგისმენიათ, როგორ ელაპარაკებიან ორი წლის ბავშვები სხვა ბავშვებს, ალბათ შეგინიშნავთ ეგოცენტრიზმის გამოვლინება – ისინი ხშირად საკუთარ თავთან უფრო ლაპარაკობენ, ვიდრე სხვებთან. მაგალითად, თამაშის დროს ათხოვებენ ერთმანეთს სათამაშოებს, ერთადაც თამაშობენ, მაგრამ მათი საუბარი უფრო „კოლექტიურ მონოლოგს“ ჰგავს. პიაჟეს მიხედვით, ამ ასაკის ბავშვს ჯერ კიდევ არ აქვს ეჭვი, რომ თანამოსაუბრემ შესაძლოა ვერ გაიგო, თუ რას ამბობს ის. ბავშვები თითქოს ხმამაღლა აზროვნებენ, ახმოვანებენ საკუთარი აზროვნების პროცესს. პიაჟეს მიაჩნდა, რომ ბავშვს ეგოცენტრიზმის დაძლევა 6-7 წლის ასაკიდან შეუძლია. ეს სოციალური ურთიერთობის პროცესში სხვადასხვა როლების შესრულების, საკუთარი და სხვისი პოზიციის საზღვრების გაცნობიერების, განსხვავებული შეხედულებების აღქმის, დაპირისპირების გზით მიიღწევა.

არსებობს თანამედროვე კვლევები, რომლებიც აჩვენებს, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვები შეიძლება საკმაოდ მგრძნობიარენი იყვნენ სხვების მიმართ. მაგალითად, ბავშვებს კარგად ესმით, რა იციან მათ და რა იციან სხვებმა. ერთ-ერთ ექსპერიმენტში 4-5 წლის ბავშვებს სთხოვეს, შეეფასებინათ 6 თვის ჩვილის, 4 წლის ბავშვისა და მოზრდილის ცოდნა. თითოეული ინდივიდის შესახებ ბავშვებს ეკითხებოდნენ: „იცის თუ არა მან, როგორ გამოიყურება ცხოველი, რომელსაც სპილოს ეძახიან?“ და „იცის თუ არა მან, როგორ გამოიყურება ცხოველი, რომელსაც ლემურს ეძახიან?“ ბავშვები ახერხებდნენ, ეთქვათ, ვის რა ეცოდინებოდა: ჩვილს არ ეცოდინებოდა სპილოს შესახებ, მაგრამ ბავშვს ეცოდინებოდა. ლემურის შესახებ არც ჩვილს ეცოდინებოდა და არც ბავშვს; მოზრდილს კი ორივეს შესახებ ეცოდინებოდა. ამ ექსპერიმენტიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ბავშვები მხოლოდ საკუთარი ცოდნის საფუძველზე არ მსჯელობენ.

კვლევები, ასევე, ცხადყოფს, რომ ბავშვებს კომუნიკაციის ფორმის შეცვლაც შეუძლიათ მსმენელის ასაკის მიხედვით. 4 წლის ბავშვი სათამაშოს შესახებ საუბრისას 2 წლის ბავშვთან უფრო მარტივ და მოკლე გამოთქმებს იყენებს, ვიდრე თანატოლთან ან მოზრდილთან.

11. I აბზაცში:

(ა) მოყვანილია სკოლამდელი ასაკის ბავშვის აზროვნების ერთ-ერთი თავისებურების ილუსტრაცია და წარმოდგენილია ბავშვის აზროვნების შესახებ ჟან პიაჟეს თეორიის კრიტიკა.
(ბ) განხილულია მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის სკოლამდელი ასაკის ბავშვს აზროვნებაში და აფერხებს მის განვითარებას.
(გ) საუბარია ბავშვის აზროვნების ერთ-ერთ თავისებურებაზე, რომლის კვლევის აქტუალობა ეჭვქვეშაა დაყენებული ტექსტის დანარჩენ ნაწილში.
(დ) დასმულია საკითხი და განმარტებულია სკოლამდელი ასაკის ბავშვის აზროვნების ის თავისებურება, რომელსაც ეხება მთელი ტექსტი.

12. სოციალური ურთიერთობის პროცესში სხვადასხვა როლის შესრულება ეგოცენტრიზმის დაძლევის საშუალებაა, რადგან:

(ა) სხვადასხვა როლის შესრულებით ბავშვს სხვისი პოზიციის, გრძნობების, ემოციების გაცნობიერების საშუალება ეძლევა.
(ბ) სხვადასხვა როლის შესრულების დროს ბავშვი საკუთარისგან განსხვავებულ შეხედულებებს უპირისპირდება და უარყოფს.
(გ) სხვადასხვა როლის შესრულების უნარი ბავშვებს მხოლოდ 6-7 წლის ასაკისთვის უვითარდებათ.
(დ) სკოლამდელი ასაკის ბავშვები ხშირად ერთვებიან როლურ თამაშებში, რაც მათი შესაძლებლობების რეალიზების საშულებაა.

13. რა მიმართებაა მესამე და მეოთხე აბზაცებში მოყვანილი კვლევების შედეგებს შორის?

(ა) მეოთხე აბზაცში მოყვანილი კვლევის შედეგები ეჭვქვეშ აყენებს მესამე აბზაცში განხილული ექპერიმენტის შედეგებს.
(ბ) მეოთხე აბზაცში მოყვანილი კვლევის შედეგები მეტ დამაჯერებლობას სძენს მესამე აბზაცში განხილული ექპერიმენტის შედეგებს.
(გ) მეოთხე აბზაცში მოყვანილი კვლევის შედეგები არც უარყოფს და არც ადასტურებს მესამე აბზაცში განხილული ექპერიმენტის შედეგებს.
(დ) მეოთხე აბზაცში განხილული კვლევის შედეგები აჩვენებს აზროვნების იმ ზოგად თავისებურებას, რომლის კონკრეტულ გამოვლინებას წარმოგვიდგენს მესამე აბზაცში აღწერილი ექსპერიმენტი

14. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ტექსტის რომელ წინადადებაში <u>**არ არის**</u> წარმოდგენილი ეგოცენტრიზმის გამოვლინება?

(ა)...ისინი თითქოს ხმამაღლა აზროვნებენ, ახმოვანებენ საკუთარი აზროვნების პროცესს.
(ბ)...ისინი ხშირად საკუთარ თავთან უფრო ლაპარაკობენ, ვიდრე სხვებთან.
(გ) ...მათი საუბარი უფრო „კოლექტიურ მონოლოგს“ ჰგავს.
(დ) ...თამაშის დროს ათხოვებენ ერთმანეთს სათამაშოებს.

15. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია ტექსტის საფუძველზე გამოტანილი მართებული დასკვნა?

(ა) სკოლამდელი ასაკის ბავშვს არ ახასიათებს აზროვნების ეგოცენტრულობა, რადგან თანამედროვე კვლევების მიხედვით, ამ ფენომენის არსებობა არ დადასტურდა.
(ბ) მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე კვლევებმა ვერ წარმოადგინა საკმარისი მტკიცებულება ამ ფენომენის არსებობის შესახებ, ეგოცენტრულობა უნდა ჩაითვალოს სკოლამდელი ასაკის ბავშვის აზროვნების თავისებურებად.
(გ) სკოლამდელი ასაკის ბავშვს ახასიათებს აზროვნების ეგოცენტრულობა, თუმცა, შესაძლებელია მან უფრო ადრე დაძლიოს აზროვნების ეს შეზღუდვა, ვიდრე პიაჟეს მიაჩნდა.
(დ) ეგოცენტრულობა არის ფენომენი, რომელიც სკოლამდელი ასაკის ბავშვის აზროვნების განვითარებას აფერხებს.

რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილი

ამოცანები

16. ერთი მრავალსართულიანი სახლის აშენებაზე დაიხარჯა 11 მილიონი ლარი, ხოლო მეორის აშენებაზე – 5 მილიონ 700 ათასი ლარით ნაკლები. რამდენი ლარი დახარჯულა მეორე სახლის აშენებაზე?

(ა) 5 მილიონ 300 ათასი
(ბ) 5 მილიონ 700 ათასი
(გ) 6 მილიონ 300 ათასი
(დ) 6 მილიონ 700 ათასი

17. დავუშვათ, 2007 წლის 11 აპრილი სამშაბათი დღე იყო. კვირის რომელი დღე იქნებოდა იმავე წლის 5 მაისი?

(ა) სამშაბათი
(ბ) ოთხშაბათი
(გ) ხუთშაბათი
(დ) პარასკევი

18. დაწესებულებაში სულ 24 თანამშრომელია. თანამშრომელ ქალთა რაოდენობა 3-ჯერ მეტია თანამშრომელ მამაკაცთა რაოდენობაზე. სულ რამდენი ქალი თანამშრომელია ამ დაწესებულებაში?

(ა) 15
(ბ) 16
(გ) 18
(დ) 20

19. სატელეფონო კომპანია საუბრის ყოველი წუთისთვის მომხმარებელს 4 თეთრს ახდევინებს. გარდა ამისა, მომხმარებელი ყოველთვიურად იხდის სააბონენტო გადასახადს – 3 ლარს. ლაშამ იანვარში 250 წუთი ისაუბრა. სულ რამდენი ლარი უნდა გადაუხადოს ლაშამ სატელეფონო კომპანიას იანვრის თვეში?

(ა) 13
(ბ) 12
(გ) 11
(დ) 10

20. ერთნაირი ზომის კუბები ისე დააწყვეს, რომ კიბის ფორმის სხეული მიიღეს (იხ. ნახაზი).
სულ რამდენი კუბი დაუწყვიათ?



(ა) 36
(ბ) 39
(გ) 42
(დ) 45

21. ელენემ 4 ცალი ბანანი იყიდა, სალომემ კი – 10 ცალი ისეთივე ბანანი. ელენემ 3 ლარით ნაკლები გადაიხადა, ვიდრე სალომემ. რა ღირებულა ერთი ცალი ბანანი?

(ა) 50 თეთრი
(ბ) 80 თეთრი
(გ) 1 ლარი
(დ) 1 ლარი 20 თეთრი

მონაცემთა ანალიზი

დიაგრამაზე წარმოდგენილია ერთ-ერთ ქვეყანაში სკოლამდელი ასაკის ბავშვთა რაოდენობები წლების მიხედვით. აქვე მოცემულია, მათგან რამდენი დადიოდა საბავშვო ბაგა-ბაღში.



დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ 4 შეკითხვას:

22. 5 წლის ასაკის რამდენი ბავშვი არ დადიოდა ბაგა-ბაღში?
(ა) 20 ათასი
(ბ) 30 ათასი
(გ) 40 ათასი
(დ) 50 ათასი

23. რამდენი წლის ბავშვების შემთხვევაში შეადგენდა ბაგა-ბაღში მოსიარულე ბავშვთა რაოდენობა ბავშვების საერთო რაოდენობის 50%-ს?
(ა) 2 წლის
(ბ) 3 წლის
(გ) 4 წლის
(დ) 5 წლის

24. რამდენჯერ მეტია 2 წლის ბავშვების რაოდენობა 3 წლის ბავშვების რაოდენობაზე?
(ა) 1,5-ჯერ
(ბ) 2-ჯერ
(გ) 2,5-ჯერ
(დ) 3-ჯერ

25. 2-დან 5 წლის ჩათვლით ასაკის სულ რამდენი ბავშვი დადიოდა საბავშვო ბაგა-ბაღში?
(ა) 90 ათასი
(ბ) 100 ათასი
(გ) 110 ათასი
(დ) 120 ათასი

---

26. ტოლდანაყოფებიან სკალაზე მითითებულია A და C მწვერვალების სიმაღლეები, ხოლო B მწვერვალის სიმაღლე არ არის მითითებული. რის ტოლია B მწვერვალის სიმაღლე?



(ა) 2900 მ
(ბ) 3000 მ
(გ) 3100 მ
(დ) 3200 მ

27. ტოლუჯრედებიან ფურცელზე გამუქებულია ორი კვადრატი, რომელთა წვეროები უჯრედების წვეროებს ემთხვევა (იხ. ნახაზი).



რამდენჯერ მეტია დიდი კვადრატის ფართობი პატარა კვადრატის ფართობზე ?

(ა) 1,5-ჯერ
(ბ) 2-ჯერ
(გ) 2,5-ჯერ
(დ) 3-ჯერ

28. ძველი ბერძნები 1-დან 4-მდე რიცხვებს აღნიშნავდნენ შესაბამისი რაოდენობის | ნიშ-ნებით, 5-ს აღნიშნავდნენ Γ ნიშნით, ათეულს – △ ნიშნით, ხოლო ასეულს – H ნიშნით. მაგალითად, რიცხვი 26 ძველბერძნულად ასე ჩაიწერებოდა: △△Γ| . რომელ რიცხვს აღნიშნავს ძველბერძნული ჩანაწერი H△Γ||| ?

(ა) 103
(ბ) 109
(გ) 113
(დ) 118

29. მოტოციკლისტი მოძრაობის დაწყებიდან 2 საათის განმავლობაში 70 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა, შემდეგი 1 საათი – 10 კმ/სთ-ით ნაკლები სიჩქარით, ხოლო ბოლო 3 საათი – 80 კმ/სთ სიჩქარით. სულ რამდენი კილომეტრი გაუვლია ამ მოტოციკლისტს?

(ა) 400
(ბ) 440
(გ) 480
(დ) 520

30. გვირილა გამოშრობისას კარგავს თავისი წონის 80%-ს. რამდენი კილოგრამი გვირილა უნდა გამოვაშროთ, რათა 3 კგ გამომშრალი გვირილა მივიღოთ?

(ა) 11
(ბ) 15
(გ) 23
(დ) 24

II

პროფესიული უნარების ტესტი

ინსტრუქცია

ტესტი 30 დავალებას შეიცავს. ყოველ დავალებას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი.

ყურადღებით წაიკითხეთ დავალებათა ინსტრუქციები, კარგად გაიაზრეთ, რა მოგეთხოვებათ თითოეულ დავალებაში, და შემდეგ აირჩიეთ პასუხი.

არჩეული პასუხი აუცილებლად მონიშნეთ პასუხების ფურცელზე, რომელიც ახლავს ტესტს. ტესტის ფურცლებზე მონიშნული პასუხები არ შემოწმდება. პროფესიული უნარების ტესტირების შედეგი დადგინდება მხოლოდ და მხოლოდ პასუხების ფურცლის საფუძველზე.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 1 საათი და 30 წუთი.

დროის ამოწურვის შესახებ გაცნობებთ მეთვალყურე.

თუ გათვალისწინებულზე მეტ დროს დაუთმობთ ტესტზე მუშაობას, თქვენი ნაშრომი არ შემოწმდება.

თუ არ გაქვთ რომელიმე დავალების პასუხი, დროს ნუ დაკარგავთ და გადადით შემდეგ დავალებაზე.

გისურვებთ წარმატებას!

დავალება № 31

ცნობილია, რომ ბავშვისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორი იქნება პირველი დღე საბავშვო ბაღში. სწორედ აქედან იწყება ახალ გარემოსთან მისი შეგუება.

ჩამოთვლილთაგან აღმზრდელის რომელი ქმედებაა *ყველაზე ეფექტიანი* იმისათვის, რომ ბავშვი ადვილად შეეგუოს ახალ გარემოს?

ა) აღმზრდელმა ბავშვების გასაცნობად სია ამოიკითხოს და ეცადოს მასში მითითებული სახელებით მიმართოს მათ.
ბ) აღმზრდელმა ბავშვებს მრავალფეროვანი სათამაშოები მოუმზადოს და შესთავაზოს, თავად აირჩიონ.
გ) აღმზრდელმა შეიყვანოს ბავშვები ოთახში და მათთვის წინასწარ განკუთვნილ ადგილებზე დასვას.
დ) აღმზრდელმა აუხსნას ბავშვებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ და რა უნდა გააკეთონ საბავშვო ბაღში.

დავალება № 32

3 წლის ბავშვი ერთი წამითაც კი არ ჩერდება, ვერ ისვენებს, აღმზრდელს უჭირს მისი ყურადღების მიპყრობა.

ჩამოთვლილთაგან *ყველაზე მეტად* რომელი რჩევა დაეხმარება აღმზრდელს აღწერილი პრობლემის მოგვარებაში?

ა) ბავშვის ქცევას საერთოდ არ მიაქციოს ყურადღება.
ბ) ბავშვს ხშირად ანიშნოს ხელით/ჟესტით რომ გაჩუმდეს.
გ) ბავშვი ახლოს დაისვას და მუდმივად ყურადღების ცენტრში ჰყავდეს.
დ) ბავშვს ყურადღება მისთვის საინტერესო აქტივობაზე გადაატანინოს.

დავალება № 33

სურათზე მოცემულია საბავშვო ბაღის ოთახი, რომელშიც ავეჯისა და სასწავლო მასალების ზომები შეესაბამება ბავშვების ასაკს.

რაგომ არის მნიშვნელოვანი სასწავლო ფიზიკური გარემოს მოწყობა ბავშვის ასაკის გათვალისწინებით?

ა) ტოვებს თავისუფალ სივრცეს სპორტული თამაშებისათვის.
ბ) ათავისუფლებს აღმზრდელს დამატებითი საქმიანობებისაგან.
გ) ხელს უწყობს ბავშვის დამოუკიდებელ და თავისუფალ აქტივობას.
დ) საბავშვო ბაღში ახლადმისულ ბავშვს უქრება უცხო გარემოს შიში.

დავალება № 34

ბაღში ქცევის წესების შემუშავება უზრუნველყოფს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ბავშვები ერთმანეთს ხელს არ უშლიან, საინტერესოდ და მხიარულად ატარებენ დროს. აღმზრდელმა ბავშვებთან ერთად შეიმუშავა წესები.

ჩამოთვლილ წესთაგან რომელი არ არის სწორად ფორმულირებული?

ა) „ვუსმენთ ერთმანეთს.“
ბ) „ვსაუბრობთ დაბალ ხმაზე.“
გ) „სათამაშოებს არ ვართმევთ ერთმანეთს.“
დ) „დღის ბოლოს სათამაშოებს ყუთში ვალაგებთ.“

დავალება № 35

როგორც ცნობილია, ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აღმზრდელისა და მშობლის ერთობლივ ძალისხმევას, მათ კომუნიკაციას.

ჩამოთვლილთაგან მასწავლებლის რომელი ქმედება შეუწყობს *ყველაზე მეტად* ხელს მშობლებთან ეფექტიან თანამშრომლობას?

ა) მშობლებთან საერთო შეხვედრის დროს ბავშვის პრობლემების განხილვა ვინაობის დაკონკრეტების გარეშე.
ბ) ბავშვის მშობლებისთვის შვილის როგორც პრობლემების, ასევე მიღწევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
გ) მშობლებისათვის რჩევის მიცემა – ბავშვის პრობლემური ქცევის დროს მიმართონ სპეციალისტს.
დ) ბავშვის მშობლების ინდივიდუალურად ინფორმირება შვილის პრობლემური ქცევების შესახებ.

დავალება № 36

3 წლის ლუკა მშობლებმა საბავშვო ბაღში შეიყვანეს. ლუკა პირველივე დღიდან გაუჩერებლად ტიროდა.

აღმზრდელის მიერ რომელი სტრატეგიის გამოყენება დაეხმარება ბავშვს *ყველაზე მეტად* ახალ გარემოსთან ადაპტაციაში?

ა) აღმზრდელმა არ მიაქციოს ყურადღება, როდესაც ბავშვი დარწმუნდება, რომ სხვები თამაშობენ და არ ტირიან, ისიც გაჩერდება.
ბ) აღმზრდელმა სთხოვოს მშობლებს, რომ სახლიდან წამოუღონ ბავშვს საყვარელი ნივთები და სანამ ახალ გარემოს შეეგუება, სულ თან ატარონ.
გ) აღმზრდელმა მისთვის ცალკე კუთხე გამოყოს, დაულაგოს სათამაშოები და დანარჩენი ბავშვები გააფრთხილოს, რომ მას თამაშში ხელი არ შეუშალონ.
დ) აღმზრდელმა სთხოვოს მშობელებს, აუხსნან ბავშვს, რომ ბაღში საშიში არაფერია და კარგად გაერთობა.

დავალება № 37

3-4 წლიანთა ჯგუფის აღმზრდელმა გადაწყვიტა, ბავშვები გადააჩვიოს თამაშის შემდეგ იატაკზე სათამაშოების უწესრიგოდ დატოვებას.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგია დაეხმარება აღმზრდელს *ყველაზე მეტად* ამ მიზნის მიღწევაში?

ა) ბავშვების მკაცრი გაფრთხილება თამაშის დაწყებამდე.
ბ) ბავშვებისთვის შენიშვნის მიცემა უწესრიგობის შემჩნევისთანავე.
გ) ბავშვებისათვის პირობის ჩამორთმევა, რომ მოწესრიგებულად ითამაშებენ.
დ) ბავშვების დაჯილდოება თამაშის შემდეგ სათამაშოების მოწესრიგებისათვის.

დავალება № 38

3-4 წლის ბავშვებისათვის დამახასიათებელია ჭირვეული ქცევა ყურადღების მიქცევის ან სასურველი შედეგის მიღების მიზნით (ე.წ. 3 წლის კრიზისი).

აღზრდის პრინციპებიდან გამომდინარე უფროსის რომელი რეაქციაა *ნაკლებად* გამართლებული?

ა) ბავშვთან კონტაქტში შესვლა მხოლოდ ჭირვეული ქცევის დასრულების შემდეგ.
ბ) ბავშვის სურვილების დაკმაყოფილება ჭირვეულობის დაწყებისთანავე.
გ) ყურადღების გადატანა ბავშვის საყვარელ ნივთზე ან საქმიანობაზე.
დ) მკაცრი, მაგრამ მშვიდი ტონით აკრძალვა იმისა, რაც არ შეიძლება.

დავალება № 39

ჯგუფში არის მორცხვი ბავშვი, რომელიც თითქმის არ მონაწილეობს საერთო აქტივობებსა და ზეიმებში, არ მღერის, არ ცეკვავს თანატოლებთან ერთად.

ჩამოთვლილთაგან *ყველაზე მეტად* აღმზრდელის რომელი ქმედება დაეხმარება ბავშვს მორცხვობის დაძლევაში?

ა) ბავშვის ჩართვა მცირე ჯგუფებში და მისი ხშირად შექება.

ბ) ბავშვისთვის უცხო სიტუაციებში აქტიურობის ხშირად მოთხოვნა.

გ) ბავშვის ჩართვა აქტივობებში მხოლოდ მისი სურვილის შემთხვევაში.

დ) ბავშვის გაფრთხილება, რომ ის პასიურობის შემთხვევაში ჯილდოს ვერ მიიღებს.

დავალება № 40

5 წლის თორნიკემ ელენეს კუბებით აგებული კოშკი დაუნგრია. ელენე ატირდა.

აღმზდელის რომელი კომენტარი იქნება *ყველაზე შედეგიანი* იმისათვის, რომ თორნიკე მიხვდეს, რისთვის დაიმსახურა შენიშვნა და გამოასწოროს ქცევა?

ა) „ბაღში ასე მოქცევა არ შეიძლება, ნუ აბრაზებ ელენეს."

ბ) „სხვა დროს ასეთი რამ აღარ გაიმეორო, თორემ დაისჯები!"

გ) „ცოდოა ელენე, შენი აშენებული კოშკი რომ დაენგრია, მოგეწონებოდა?"

დ) „ადამიანებმა ერთმანეთს არ უნდა აწყენინონ, გოგოს არ უნდა დაუთმო?!"

დავალება № 41

5 წლის ანა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია. მან ცუდად იცის უმრავლესობის ენა, უშვებს შეცდომებს, რაზეც სხვა ბავშვები იცინიან. ამის გამო ანას უჭირს მათთან კონტაქტში შესვლა და ძირითადად მარტო თამაშობს.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგიის გამოყენებით დაეხმარება აღმზრდელი ანას ბავშვებთან ურთიერთობის დამყარებაში?

ა) დანარჩენი ბავშვებისათვის მკაცრი შენიშვნის მიცემა.
ბ) პრობლემის ბუნებრივად მოგვარების მიზნით მისი იგნორირება.
გ) ანასთვის სიტყვების დროულად შესწორება, მანამ სანამ ბავშვები დასცინებენ.
დ) ანას დახმარებით ბავშვებისათვის მის მშობლიურ ენაზე რამდენიმე სიტყვის სწავლება.

დავალება № 42

აღმზრდელს ხშირად შეუნიშნავს, რომ ერთ-ერთი მშობელი, მიუხედავად იმისა, რომ ხედავს ბავშვის მონდომებას, არ აცდის მას ფეხსაცმელზე თასმების შეკვრას და თვითონ უკრავს. აღმზრდელმა გადაწყვიტა მშობლისთვის რჩევის მიცემა.

ჩამოთვლილთაგან რომელია პედაგოგის *ყველაზე სასარგებლო* რჩევა?

ა) „ნუ ჩქარობთ, ბავშვი ნერვიულობს."
ბ) „თუ შეიძლება, ბავშვს ჩააცვით უთასმო ფეხსაცმელი."
გ) „თუ შეიძლება, წინასწარ დამირეკეთ, მე თვითონ შევუკრავ."
დ) „ნუ ჩქარობთ, დააცადეთ, თვითონ ისწავლოს თასმის შეკვრა."

დავალება № 43

ლუკა ჯგუფში მუდმივად დისკომფორტს ქმნიდა - ბავშვებს ეჩხუბებოდა და სათამაშოებს ართმევდა. აღმზრდელმა პრობლემის მოგვარება სცადა.

ჩამოთვლილთაგან აღმზრდელის რომელი ქმედებაა მართებული?

ა) აღმზრდელმა ლუკა ფსიქოლოგის ოთახში შეიყვანა და სათამაშოდ ერთი ადგილი მიუჩინა.
ბ) აღმზრდელმა დაიბარა მშობელი და სთხოვა, რომ ლუკა რამდენიმე დღე ბაღში არ ეტარებინა.
გ) აღმზრდელი შეხვდა ლუკას მშობლებს და შეეცადა მისი ქცევის გამომწვევი მიზეზების დადგენას.
დ) აღმზრდელმა ლუკა ცოტა ხნით კუთხეში დააყენა, რითაც მოახერხა ჯგუფში წესრიგის შენარჩუნება.

დავალება № 44

საბავშვო ბაღის აღმზრდელი ბავშვებს სათამაშოებს ამზადებინებს ქაღალდის ან საყოფაცხოვრებო ნივთებისაგან. ბავშვებს ესვრებათ ხელები, ტანსაცმელი, რის გამოც მშობლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ.

ჩამოთვლილთაგან რომელი არგუმენტი უნდა მოიშველიოს აღმზრდელმა, რომ მშობლებს აუხსნას ამ აქტივობის მთავარი მიზანი?

ა) ეს აქტივობები ხელს უწყობს შემოქმედებითი და მოტორული უნარების განვითარებას.
ბ) ყველას არ შეუძლია სათამაშოს შეძენა, კარგია, როდესაც ბავშვი თვითონ ამზადებს მას.
გ) ბავშვები დაკავებულები არიან, თავისუფალ დროს უფრო აზრიანად ატარებენ.
დ) მზა სათამაშოები, როგორც წესი, არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს.

დავალება № 45

ცნობილია, რომ ბავშვის შექება ყოველთვის არ იწვევს სასურველ შედეგს.

ჩამოთვლილთაგან შექების რომელი მაგალითია *ყველაზე ეფექტიანი?*

ა) „ყოჩაღ, ძალიან კარგი და საყვარელი ხარ!“
ბ) „კარგი ბავშვი ხარ. მინდა, სხვებმაც მოგბაძონ!“
გ) „დღეს ძალიან კარგად იქცევი, აი, გუშინ კი გამაბრაზე!“
დ) „ყოჩაღ, ვხედავ, რომ მოინდომე, კარგად გაგიფერადებია!“

დავალება № 46

ჩამოთვლილთაგან *ყველაზე მეტად* რომელი აქტივობით შევუწყობთ ხელს ბავშვებს *ჯანსაღი კვების ჩვევის ჩამოყალიბებაში*?

ა) ბარათების დახარისხება მათზე გამოსახული საკვების სასარგებლო თვისებების მიხედვით.
ბ) სასარგებლო პროდუქტების გამოყენებით კერძების საკუთარი ხელით მომზადება და გაფორმება.
გ) სასარგებლო ხილისა და ბოსტნეულის აპლიკაციების, პლაკატების დამზადება და ოთახის გაფორმება.
დ) საუბრის ჩატარება სასარგებლო პროდუქტებისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი გავლენის შესახებ.

დავალება № 47

4 წლის გიორგის ეშინია ოთახში მარტო შესვლა. აღმზრდელმა გადაწყვიტა, გიორგის შიშის დაძლევაში დაეხმაროს.

ჩამოთვლილთაგან აღმზრდელის რომელი ქმედება დაეხმარება ბავშვს აღწერილი პრობლემის დაძლევაში?

ა) აღმზრდელმა გიორგის საყვარელი სათამაშო ცარიელ ოთახში განზრახ დატოვოს და მისი გამოტანა დაავალოს.
ბ) აღმზრდელმა ოთახიდან ბავშვები ნელ-ნელა გამოიყვანოს და თამაშში გართული გიორგი ოთახში მარტო დატოვოს.
გ) აღმზრდელი ხშირად შევიდეს გიორგისთან ერთად ცარიელ ოთახში და მასთან ერთად დეტალურად დათვალიეროს ყველა კუთხე.
დ) აღმზრდელმა ხშირად უთხრას გიორგის – „ნახე, ნიკა რა მამაცია, არაფრის ეშინია. ხომ ხედავ, ოთახში მარტო შესვლაც შეუძლია.“

დავალება № 48

წიგნის სიყვარული ბავშვს თავიდანვე უნდა გავუღვივოთ, რომ ხელი შევუწყოთ მისი სწავლის საბაზო უნარების (კითხვის, წერის, მეტყველების, გააზრებული კითხვის) ჩამოყალებებას.

ჩამოთვლილთაგან რომელი სტრატეგიაა *ყველაზე ნაკლებად* ეფექტური იმისათვის, რომ ბავშვს წიგნისადმი ინტერესი გაუღვივდეს?

ა) უფროსების მხრიდან წიგნის მიმართ ინტერესის გამომჟღავნება და ბავშვისათვის კითხვის მაგალითის ჩვენება.

ბ) ბავშვისათვის წიგნის საკითხავად სასურველი დროის შერჩევა ისე, რომ ეს არ მოხდეს თამაშის ხარჯზე.

გ) ბავშვისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ სურვილისამებრ შეარჩიოს წიგნიც და კითხვის ადგილიც.

დ) ყოველი წაკითხული წიგნისა თუ ზღაპრისათვის ბავშვის სასურველი ჯილდოთი წახალისება.

დავალება № 49

ნინო სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვია. მას უჭირს აღმზრდელის სიტყვიერი მითითებების გაგება.

ჩამოთვლილთაგან რომელი რჩევა დაეხმარება *ყველაზე მეტად* აღმზრდელს აღწერილი პრობლემის მოგვარებაში?

ა) გაუმეოროს ბავშვს მითითებები, სანამ მისთვის გასაგები არ გახდება.

ბ) სხვა სიტყვებით კიდევ ერთხელ აუხსნას ბავშვს, თუ რას ითხოვს მისგან.

გ) თავად უჩვენოს ბავშვს, რის გაკეთებას ითხოვს მისგან და შემდეგ გაამეორებინოს.

დ) შეწყვიტოს მითითებების მიცემა და მისცეს ბავშვს საშუალება, აკეთოს ის, რაც მას უნდა.

დავალება № 50

მცირეწლოვანი ბავშვები ხშირად იტყუებიან.

ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორით/ფაქტორებით შეიძლება იყოს განპირობებული ბავშვის ტყუილი?

I. ბავშვისთვის დამახასიათებელი იმპულსურობით (უნებისყოფობით).
II. დასჯის თავიდან აცილების სურვილით.
III. ბავშვობის ასაკისათვის დამახასიათებელი ფანტაზიორობით.

ა) მხოლოდ I
ბ) მხოლოდ I და III
გ) მხოლოდ II
დ) მხოლოდ II და III

დავალება № 51

ბავშვები ხშირად ამახინჯებენ სიტყვებს, რადგან არ აქვთ სრულყოფილად ჩამოყალიბებული სამეტყველო აპარატი.

ჩამოთვლილთაგან აღმზრდელის რომელი ქმედებაა *ყველაზე* ეფექტიანი აღწერილი პრობლემის მოგვარებისათვის?

ა) აღმზრდელმა სიტყვის არასწორად წარმოთქმის დროს ბავშვი შეაჩეროს და სთხოვოს მისი სწორად გამეორება.
ბ) აღმზრდელმა შეცდომის გამოსწორება სთხოვოს იმ ბავშვს, რომელიც სიტყვებს სწორად გამოთქვამს.
გ) აღმზრდელმა ბავშვს არასწორად წარმოთქმული სიტყვა ჩაანაცვლებინოს სხვა სიტყვით.
დ) აღმზრდელმა ხაზგასმის გარეშე, ბავშვის თანდასწრებით სწორად წარმოთქვას პრობლემური სიტყვა.

დავალება № 52

„ბავშვის უფლებათა კონვენციის“ მიხედვით, რომელი კითხვის დასმა *არ* ჩაითვლება ბავშვის უფლებების შეზღუდვად ?

ა) „მამას ხშირად ხვდები?“
ბ) „ვინმემ ხომ არ გაწყენინა?“
გ) „დედა რატომ არ გაკითხავს?“
დ) „ფსიქოლოგი რაზე გესაუბრა?“

დავალება № 53

აღმზრდელმა ბავშვებს ახალი ასაწყობი სათამაშო მისცა და დაავალა, რომ ინსტრუქციაში მოცემული ნახატის მიხედვით აეშენებინათ სახლი. სანდროს უყვარს ასაწყობი სათამაშოები, იგონებს ახალ კონსტრუქციებს და ამით კარგად ერთობა. მიუხედავად ამისა, მას მალე მობეზრდა ეს თამაში და ცელქობა დაიწყო.

ჩამოთვლილთაგან რომელი ქმედება იქნებოდა *ყველაზე ადეკვატური*, რომ სანდროს სათამაშოს მიმართ ინტერესი არ დაეკარგა და სხვებისთვისაც ხელი არ შეეშალა?

ა) აღმზრდელი უნდა დახმარებოდა სანდროს და მინიშნებები მიეცა სახლის აწყობის დროს.
ბ) აღმზრდელს თავიდან თვითონ უნდა აეწყო სახლი და სანდრო მასზე დაკვირვებით შეასრულებდა დავალებას.
გ) აღმზრდელს უნდა მიეცა სანდროსთვის შესაძლებლობა, რომ თავისი ფანტაზიით, ინსტრუქციის გარეშე აეწყო სახლი.
დ) აღმზრდელს თავიდან კარგად უნდა აეხსნა ინსტრუქცია და ამის შემდეგ მიეცა ასაწყობი სანდროსთვის.

დავალება № 54

ბაღი სკოლისათვის მოსამზადებელი ეტაპია. აღმზრდელი სხვადასხვა აქტივობის გამოყენებით ბავშვებს ეხმარება სკოლაში სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში.

ჩამოთვლილთაგან *ყველაზე მეტად* რომელი აქტივობა დაეხმარება ბავშვს წერის უნარის განვითარებაში?

ა) ხელებით ხატვა.
ბ) მოზაიკით თამაში.
გ) აპლიკაციების გამოჭრა.
დ) მოძრავი ანბანით თამაში.

დავალება № 55

აღმზრდელმა სკოლისათვის მოსამზადებელ ჯგუფს მათემატიკური დავალებები მისცა.

ჩამოთვლილთაგან რომელი დავალებაა *ყველაზე მარტივი*?

ა) „აბა ბავშვებო, დავითვალოთ 10-დან უკან.“
ბ) „აბა ბავშვებო, რამდენია 5-ს რომ 2 გამოვაკლოთ?“
გ) „ნინო, აი შენ 5 ფანქარი, აქედან გიოს მიეცი 2. რამდენი დაგრჩა?“
დ) „თუ გიორგის 5 ფანქარი და 2 კალამი აქვს, სულ რამდენი ნივთი აქვს გიორგის?“

დავალება № 56

საბავშვო ბაღის აღმზრდელი ხშირად ათამაშებს ბავშვებს ნახატებიანი ბარათებით. ის ჯერ აჩვენებს მათ, რა ხატია ბარათებზე (ნაცნობი საგნები: ცხოველები, ფერადი გეომეტრიული ფიგურები, სხვადასხვა ნივთი და ა. შ.), შემდეგ გადააბრუნებს ბარათებს და სთხოვს ნახატების ამოცნობას.

ამგვარად ბაღის აღმზრდელი *ყველაზე მეტად* ხელს უწყობს:

ა) ლოგიკური აზროვნების განვითარებას.
ბ) საგნების სახელების დასწავლას.
გ) ფერთა დასახელების დასწავლას.
დ) მეხსიერების განვითარებას.



დავალება № 57

აღმზრდელმა მიზნად დაისახა, რომ ბავშვებისათვის ესწავლებინა ფერების დასახელება ინგლისურად.

ჩამოთვლილთაგან რომელი აქტივობა დაეხმარება მას *ყველაზე მეტად* ამ მიზნის მიღწევაში?

ა) აღმზრდელმა დღეში რამდენჯერმე გაუმეოროს ბავშვებს სხვადასხვა ფერის დასახელება.
ბ) ბავშვებს რაც შეიძლება ბევრჯერ გაამეორებინოს ფერების დასახელება მშობლიურ ენაზე და ინგლისურად.
გ) ბავშვებს მოასმენინოს და ამღეროს სიმღერა ფერებზე და მათი წარმოთქმისას ააწევინოს შესაბამისი ფერის ბარათი.
დ) წარმოთქვას ფერის აღმნიშვნელი სიტყვა ინგლისურად და ბავშვებს დაასახელებინოს მისი შესატყვისი მშობლიურ ენაზე.

დავალება № 58

აღმზრდელის მიზანია ბავშვებს ასწავლოს საგნების ნიშან-თვისებების გამოყოფა, მათი ერთმანეთთან შედარება.

ჩამოთვლილთაგან რომელი მითითების გამოყენება დაეხმარება მას *ყველაზე მეტად* აღნიშნული მიზნის მიღწევაში:

ა) ჩაალაგე ყველა წითელი ბურთი კალათში.
ბ) გააფერადე ნახატზე მოცემული ყველა ჩიტი.
გ) აღმოაჩინე რა არის ზედმეტი ამ ნახატზე.
დ) გამოჭერი ნახატზე მოცემული სოკოები.

დავალება № 59

5-6 წლიანთა ჯგუფში მასწავლებელმა ბავშვებს აჩვენა ორი ნახატი (ჭიანჭველა და მატლი) შესაბამისი წარწერებით.



და ჰკითხა:

– რომელ სიტყვაში უფრო მეტი ასოა?

ბავშვების უმეტესობამ სწორად უპასუხა, თუმცა რამდენიმემ შეცდომა დაუშვა და მეორე ნახატი აირჩია.

რომელი მიზეზი განაპირობებს ბავშვების მიერ დაშვებულ ამგვარ შეცდომებს?

ა) ეს ბავშვები ვერ განასხვავებენ ასო-ბგერებს მარცვლებისგან.

ბ) ეს ბავშვები ეყრდნობიან თვალსაჩინო გამოსახულებას.

გ) ამ ბავშვებმა ჯერ კიდევ არ იციან კითხვა.

დ) ამ ბავშვებმა ჯერ კიდევ არ იციან თვლა.

დავალება № 60

5 წლის ნინო ვერ კითხულობს სიტყვას, თუმცა სწორად ასახელებს ამ სიტყვაში შემავალ ყველა ასო-ბგერას. ნინოს აღმზრდელმა დახმარება კოლეგას სთხოვა, რომელმაც არ ურჩია ჩარევა, რადგან ბავშვი ასაკის მატებასთან ერთად თავისთავად გააერთიანებდა ასო-ბგერებს და წარმოთქვამდა სიტყვას.

აღმზრდელის რჩევა:

ა) მართებულია, რადგან წერა-კითხვის უნარის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია ბავშვმა ექვსი წლის ასაკს მიაღწიოს.

ბ) არ არის მართებული, რადგან თუ ბავშვი სიტყვას ვერ ამთლიანებს, ე.ი. იგი სპეციალური საჭიროების მქონეა და მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომას.

გ) მართებულია, რადგან აღმზრდელის აქტიური ჩარევა და ბავშვის ხშირი მარცხი შეაფერხებს მის განვითარებას.

დ) არ არის მართებული, რადგან ბავშვის კითხვის უნარის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია აღმზრდელი ხელს უწყობდეს და წარმართავდეს ამ პროცესს.